საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №987
2024 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №486 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №486 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 31/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016982) დამტკიცებულ ტიპურ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პრობაციის ბიუროს უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბიუროს უფროსის მოვალეობას, სააგენტოს უფროსის დავალებით, ასრულებს პრობაციის ბიუროს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და პრობაციის ოფიცერი, ხოლო თბილისის, აჭარისა და გურიის, იმერეთისა და კახეთის პრობაციის ბიუროებში – ამავე ბიუროს უფროსის ერთ-ერთი მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და ჯგუფის უფროსი.

7. თბილისის, აჭარისა და გურიის, იმერეთისა და კახეთის პრობაციის ბიუროს უფროსი უფლებამოსილია მოახდინოს პრობაციის ბიუროს ჯგუფის უფროს(ებ)ზე მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ცალკეული უფლება-მოვალეობების დელეგირება.“.

2. მე-5 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. თბილისის, აჭარისა და გურიის, იმერეთისა და კახეთის პრობაციის ბიუროს სტრუქტურული ერთეულები“;

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„5^1. კახეთის პრობაციის ბიუროში, სააღსრულებო საქმეთა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, შექმნილია სტრუქტურული ერთეული – ჯგუფი, რომლის სამოქმედო ტერიტორიაა საგარეჯოს, გურჯაანის, ლაგოდეხის, ახმეტის, სიღნაღის, ყვარლისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები. ჯგუფი შედგება პრობაციის ოფიცრებისგან. ჯგუფში პრობაციის ოფიცერთა რაოდენობას განსაზღვრავს და პრობაციის ოფიცრებს ანაწილებს სააგენტოს უფროსი.“.

3. 8^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 8[1]. სამსახურებრივი ფორმა**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პრობაციის ოფიცრები, ხოლო სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით, სააგენტოს ცალკეული მოსამსახურეები ატარებენ სამსახურებრივ ფორმას, რომლითაც მათ უზრუნველყოფს სააგენტო.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**